ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი 1-4

ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ მიერ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N1533) შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციების შერჩევა-შეფასებასთან დაკავშირებით 2015 წლის 6 აპრილს შედგა ა(ა)იპ„ბათუმის განვითრების ფონდის“ საკონკურსო კომისიის სხდომა,
სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის წევრები შემდეგი შემადგენლობით:
ა) თავმჯდომარე: ავთანდილ დარჩია;
ბ) წევრი: ელგუჯა ხაზარაძე (მოწვეული);
გ) წევრი: ამირან შაქარაძე;
დ) წევრი: გიორგი კაცაძე;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საკითხი – ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე (1533) წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა შერჩევა-შეფასების მიზნით;
განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ საკონკურსო განცხადების (1533) შედეგებს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა: შპს„არტგრუპი“ (ს/კ 445458291).
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის (შპს „არტგრუპი“) შემოთავაზება, დეტალური განხილვისას დადგინდა რომ პრეტენდენის მიერ წარმოდგენილი იქნა ეზოების ჭიშკრების დიზაინის 25 ესკიზი, ხოლო სახარჯთაღრიცხვო ფასი წარმოდგენილი იქნა 10000 (ათი ათასი) ლარი ნაცვლად ფაქტიური ღირებულებისა რა განფასება არის ჭიშკრებზე;
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის შპს„არტგრუპი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კომისიამ იმსჯელა საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დაადგინა:
1). რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი, ამიტომ ეცნობოს პრეტენდენტს შპს „არტგრუპი“, რათა არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა თითოეული ესკიზის შესაბამისად.

/ავთანდილ დარჩია/

/ამირან შაქარაძე/

/ელგუჯა ხაზარაძე/

/გიორგი კაცაძე/